პროლეტარიელნო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. დ. თბილისის
კომიტეტის და
საქრეკომის
ორგანო.

№ 108 ხუთშაბათი, 14 ივლისი, 1921 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ხუთშაბათი, 14 ივლისი, 1921 წ. № 108

ფელიეტონი კირველ

...ი ქალენდარი.

...ვლისი

ხუთშაბათი

1919 წითელმა ჯარებმა დაამარცხეს კოლ ჩაკის ურდოები და აიღეს ურალის დედა ქალაქი—ეკატერინბურგი.

1889. მე 2 ინტერნაციონალის დაარსება. პარიზის კონგრესმა 1 მაისი გამოაცხადა მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის დღესასწ.

1857 „კოლკოლ“-ის 1 № გამოსცა, პირველი თავისუფალ რუსულ ორგანოსი საზღვარგარეულ გირცენის და ოგარიოვის რედაქციით.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4 რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა-უქმეებისა დღ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № საერთო №

ბაჭვთის დაკვეთა

და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ მემეტვეთი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4, ტელეფონი №

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ:

10 ივლისს ბათუმში მოვიდა 120,000 ფ. პუდი ამერ.-კავკასიის რეპუბლიკისთვის.

2 დან 6 ივლისამდე პორტიდან გამოვიდა ... ფ. ...

შემოვიდა 181 ვაგონი სახალხო სამეურნეო მანქანები და იარაღები.

ᲡᲐᲒᲭᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ.

რატომაა ჩვენთვის ძვირფასი და აუცილებელი კომუნისტური ინტერნაციონალი?

გლეხი ამ ეამათ ჩაფლულია თავის ყოველდღიურ ძმრმე მეშაობაში დილიდან დაწყებული საღამომდე და არაფერთან მთელ ქვეყნიერობაზე მას თითქმის საქმეც კი არა აქვს.

ბოლო რუსეთის გულში კი, მოსკოვში, ადგილი აქვს ახლა უდიდეს ისტორიულ ღოვლენას. მთელი მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ ასობით დელეგატები მუშებისა და გლეხებისაგან. იმ კითხვის გასარკვევად, თუ როგორ შეიძლება უკეთესად შეკავშირება და მოქმედების როგორი საშუალებებით გამოიმუშავონ ბურჟუაზიის ძალა უფლების რაც შეიძლება ჩქარა დასანგრევად მთელ მსოფლიოში.

ასეთი მოვლენა არ შეიძლება სულ ერთი იყოს არც ერთი მუშა გლეხისათვის.

დიალ, გლეხი სავსებით ჩაფლულია თავის საყანე მეშაობაში. და მას თავზე არ აწვიენიან ჯალათი მეფის მსახურები და წურბელა-მემამულეები. მაგრამ რისი შემწეობით მიიღო გლეხმა ის, რომ მშვიდობიანად შრომობს თავის თავისათვის?

იმის შემწეობით, რომ ზღვის გაღმა, ინგლისში ინგლისის მემალარიები აწარმოებენ შეუპოვარ ბრძოლას რუსეთის გლეხების დაუხდომელ მტრებთან, ინგლისის კაპიტალისტებთან. იმის შემწეობით, რომ შორს ინდოეთში ინდოეთის გლეხები და მუშები განუწყვეტელივ აწარმოებენ რევოლიუციონურ ბრძოლას თავის ნაგვრელების, იმავე ინგლისის კაპიტალისტების წინააღმდეგ. იმის შემწეობით, რომ იტალიაში იტალიის გლეხები ართმევენ თავიანთ მემამულეებს მიწებს, ხოლო იტალიის მუშები კი ართმევენ კაპიტალისტებს ფაბრიკებს და ქარხნებს. იმის შემწეობით, რომ ჩეხო სლოვაკიაში და გერმანიაში მუშები იარაღით ხელში იბრძვიან ძალა უფლებისათვის კაპიტალისტების წინააღმდეგ, ხოლო საფრანგეთში კი ხელახლად გაწყვეტელ ჯარის-კაცები ბერიან „ინტერნაციონალს“.

დიალ, გლეხი ხნავს მიწას და წყნარათ იწევს მოსავალს. მან ნაწილობრივათ უკვე მიიღო და კიდევ მოელის ... ...

ეკონომიური ცხოვრება

ტყავეულობის მრეწველობა დასავლეთ საქართველოში

ქ. ქუთაისი. არსებობს ტყავეულობის სამი ქარხანა. ერთი იმითგანი ოქრიცხეთში აიღო კომუნალურ მეურნეობის ეკონომიურ განყოფილებამ, ორი დანარჩენი დაუტოვეს მის პატრონებს იმ პირობით, რომ დამზადებულ საქონლის ორი მესამედი ჩაბარონ კომუნალურ მეურნეობას თვით ღირებულ ფასებში, ერთი მესამედის გაყიდვა კი მათ შეუძლიანთ ადგილობრივ ბაზარზე თავისუფალ ფასებში. დღეგანდელ პირობებში ამ სამ ქარხანას შეუძლიანთ წლიურათ დაამზადოს 15,000 ცალი მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ტყავი. ნორმალური წარმოება დამოკიდებულია ტყავს გამოსაყენებ მასალების რაოდენობაზე. ამ ტემთ კი ამ მასალების დიდი ნაკლებობაა. რაც შეეხება ფეხსაცმელებისა და სახანაზო წარმოებას, უკვე კოოპერატივ ერთობის მიერ მოწყობილია სახანაზო და ფეხსაცმელის სახელოსნო. აქ ნაქრობით მუშაობს 15 კაცი, რომელნიც ასრულებ 5 კომუნალურ მეურნეობის მიერ შეკვეთილ მუშაობას— მათთვის მიცემულ მასალებიდან.

ქ. ბათუმი

ასებობს ტყავეულობის სამი ქარხანა, ნორმალურ პირობებში წლიურათ დაამუშავებენ 40,000 ცალ მსხვილ ფეხა და წვრილ ფეხ პირუტყვის ტყავს. ახლანდელს პირობებში კი შეუძლიანთ 6,000 ცალის დამზადება. ასეთი არანორმალურ წარმოების მიზეზია, თრიმლისა და სანდალ ტყავის სიძვირე. ბათომში არსებობს ფეხსაცმელების სახელოსნო და სახანაზო. პირველში მუშაობს ექვსი კაცი, მეორე 1. პირველი ასრულებს მხოლოთ შეკეთების საქმეს.

სენაკის მაზრაში.

როგორც ცნობილია რევკომის, ფინანსთა, სხვა საქმეთა დაწესებულებისა და მუშათა ორგანიზაციების მუშაობა [illegible] ფარგლში საქმეთ ეხებოდა [illegible] განყოფილების თაოსნობით მოწვეულ იქნა წინასწარი ფართე თათბირი კოოპერატივების. კოლექტიურ მეურნეობის, თემთა, კერძო მფლის ნუშთა და სხვა წარმომადგენლებისაგან საერთო თესვის შესახებ გამოცემულ დეკრეტის გასაცნობად. თათბირზე, გამოირკვა, რომ მაზრა განიცდის სათესლე მასალისა და ბერეზეგ სასოფლო სამეურნეო იარაღების დიდ ნაკლებობას. ზოგიერთ კერძო შემოსავალში საადგილ-მამულო განყოფილებამ ეს საჭიროება დააკმაყოფილა. ეკონომიურმა განყოფილებამ უკვე დაამუშავა გეგმა შეკეთების და ახალ გზატკეცილების გაყვანისა და აგრეთვე დაზიანებულ ხიდების შეკეთებისა.

ქ. ფ ო თ ი.

არსებობს ერთი ქარხანა, რომელიც ამზადებს 100 ცალი მსხვილ ფეხა და წვრილ ფეხა პირუტყვის ტყავს. შესაძლებელია ამ წარმოების გადიდება 6000 მდე. არსებობს ფეხსაცმელების სახელოსნოები და სახანაზოც, რომლებიც ემსახურება 40 მდე მუშის საჭიროებას.

ქ. გორი.

არსებობს ორი ქარხანა, სადაც მუშაობა სწარმოებს აზიურ საშვალებით, ორივეს ნაწარმოები 2500 ცალამდეა. ნორმალურ პირობებში წარმოების გადიდება შესაძლებელია 7500 ცალამდე ვინაიდან აქვე მიიპოვება შეს ფერი შენობა, რომელიც მიწის ძვრის მიზეზით საჭიროებს მცირედ შეკეთებას. სასურველია მოეწყოს ახალი ქარხანა. რომელსაც ყოველ წლიურათ შეეძლება 15,000 ცალამდე მსხვილ და წვრილ ფეხა საქონლის ტყავის დამზადება. არსებობს სახანაზო და ფეხსაცმელების სახელოსნო. მუშაობს ოცი კაცი. ის უმთავრესად ემსახურება მუშებსა და საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურეთ.

ბორჯომი, ხაშური და სურამი.

არსებობს პატარ-პატარა ქარხნები. მუშაობა პირველყოფილ აზიურ საშუალებით სწარმოებს. ეს ქარხნები წარმოადგენენ მთლად წვრილი ხარისხის შინა მრეწველობას, რომელიც მოკლებულია სამრეწველო მნიშვნელობას.

მორიგი ამოცანა ყველა ქარხნების.

სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოს წინაშე სდგას ორი დიდი ამოცანა. პირველი—უცხოეთში დანაკლის ნედლეულისა და ტყავის გამოსაყენებ მასალის შეძენა, ვინაიდან რესპუბლიკის ტერიტორიაში ამ დამუშავებულ მასალის საერთო რაოდენობა. არსებულ ქარხნების ნორმალურ [illegible] ნახევარსაც ვერ [illegible] აკმაყოფილებს. მეორე და უმთავრესი საქმე ზოგიერთ ქარხნების ტეხნიკურ მოწყობილობის გადიდება ტყავის მოსაქნელ და გამოსაყენებ მანქანის მოტორებისა, და უფრო მძლავრ ნაძრავის დადგმით.

[illegible] ბა კოშიხარიატის მოღვაწეობა, [illegible] ირკვევა როგორც კერძოთ [illegible] ლის, ისე საერთო სახელმწიფოებრივი ხასიათის კითხვები, რამდენათ ამ უკანასკნელთ დამოკიდებულება ექნება მუშა გლეხთა ინსპექციასთან.

◆ **წ ი ნ ა დ ბ ა რ ე გ ი ო ნ ი ს შ ე ს ა ხ ებ ,** რომ დაჩქარდეს მუშაობა და ანგარიშის მხრივ დაქვემდებარებულ დაწესებულებებთან მოიღოს ბოლო ყოველგვარ გაუგებრობას, მუშა გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ შეიმუშავა და დაამტკიცა წესდება წინასწარ, ფაქტიურ და მომდევნო რეგიონის შესახებ.

◆ **ქერის მოსავალი** ტფილისის გარშემო ქერი დამწიფდა და უკვე ორი კვირაა, რაც გლეხები შეუდგენ მოსავლის მოკრებას. კავშვალურ მეურნეობის საბჭოს საადგილ-მამულო ქვე განყოფილება ხელმძღვანელობას უწევ მოსავლის მოკრების საქმეს და შეუდგა ნატურალურ გადასახადის მოკრებას იღებენ მოსავლის მეათედ ნაწილს. მოსავლის მიხედვით ეს გადასახადი სულ მცირეთ შეიკრიბება ქალაქის ძველ საზღვრებში 500-ზე მეტი ფუთი, ხოლო ქალაქის ახალ ფარგლებში—10,000 ფუთამდე.

— **სადალაქო ნიხრი.** [illegible] რომ ხელმისაწვდომი იყოს სადალაქოებით სარგებლობა, როგორც წითელ არმიელებისათვის, ისე საბჭოთა მოსამსახურეთათვის და მათ ოჯახებისათვის შემოღებულია შემდეგი ნიხრი: 1) თმის გაკრეჭა 100 მან. 2) წვერის მოპარსვა 100 მან. 3) თავის მოპარსვა 300 მ. 4) ბავშვის გაკრეჭა 50 მ. 5) მანდილოსანთა გაკრეჭა 250 მ. 6) მანდილოსანთა თავის დავარცხნა 1500 მ. 7) მანიკური 1500 მ. ამ ნიხრით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ მათ, ვინც წარადგენს საკავშირო ბილეთებს. ბილეთის გადაცემა სასტიკათ აკრძალულია.

— **კათალოგოსის გარდაცვალება.** ივლისის 11-ს საღამოს 5 ნახ. საათზე გარდაიცვალა საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ლეონიდე.

◆ **ზემო სვანეთი.** საქ. რევკომმა, გაეცნო რა განცხადებას ზემო სვანეთის რწმუნებულებისას, დაადგინა დაარსდეს ზემო-სვანეთში რევკომი, სამხაზრო რევკომის უფლებით. ამასთან ერთად დადგენილია, დაკმაყოფილონ ზემო-სვანეთის რწმენებულთა კონკრეტიული შუამდგომლობანი.

პარტიული ცხოვრება

კომიაჩეიკის მუშაობა მილიციაში.

ტფილისს ქალ. მილიციასთან არსებული კომიაჩეიკის ორგანიზაცია მუშაობს სრულიათ ნაყოფიერად, რომელმაც გააერთიანა სისხლის სამართლის მილიცია და მარკაფი და ყოველ საკმაო რიცხვი პარტიული კომუნისტებისა მილიციის შტაბის უფროსის ამხ. ტატიშვილის მეთაურობით. კომიაჩეიკაში ყოველ დღე აკეთებენ მოხსენებებს, უსწავლიან საბჭოთა ხელის უფლების მნიშვნელობას, ამართება საუბარი კომუნისტურ ანბანის გარშემო და საერთოთ იგი ხელმძღვანელობს მთელ პოლიტიკურ მუშაობას მილიციაში. ასეთი მუშაობის მოწყობა ცალკეკე კომისარიატებში შეუძლებელი შეიქმნა, რადგანაც არ იყო საჭირო კადრი პარტიულ ამხანაგებისა და ამის გამო მე 4 საუბნო კომისარიატის პრეზიდიუმის თაოსნობით ამხ. გარდაშვილის და ტატიშვილისა ივნისის 26 თვის დაინიშნა 1, 2, 3, 4 და 13 კომისარიატების, სისხლის სამართლის, მარკაფის და მილიციის სამართველოს ყველა კომუნისტების და ჩაწერილ კანდიდატთა საერთო კრება. ამ კრებაზე დაადგინეს კომისარიატებში ნამდვილ კომიაჩეიკების მოწყობამდე მილიციის სამართველოსთან გაერთიანებული იქნება ყველა ორგანიზაცია, ერთ ცენტრალურ კომიაჩეიკის შექმნით, რომელიც უხელმძღვანელებს ყველა ამ ორგანიზაციების პოლიტიკურ ცხოვრებას და მუშაობას. ამ ცენტრალურ კომიაჩეიკის პრეზიდიუმში აირჩეს ამ. ჩხეიძე, ტატიშვილი, ლაკსინი მუშაო, კოკინი, გაჩეჩილაძე, ბაბრიანენკი და სირაძე. მათ კანდიდატებათ: ამხ. მეურეველი და ჯუმხაძე. მცირე პრეზიდიუმში შევიდნენ ამხ. ტატიშვილი, ლაკსინი და მეტროფელი, რომელიც ყოველ ზომებს ღებულობენ კარგათ შეიარაღებულ მილიციის მოსაწყობათ, რადგანაც იცან, რომ პოლიტიკურად მომზადებული და გაწვრთნილი შეიარაღებული მილიციი არის ჭალაქში პირველი საწინდარი რევოლიუციონურ წესრიგისა. განზრახულია მილიციაში მოსამსახურეთათვის კლუბის გახსნა, გაფარეთება და გაუმჯობესება მილიციის სამართველოსთან არსებულ სამკითხველოსი; სამართველოსთანვე მოეწყო საბჭოთა სპპარიკმახერო, სამკერვალო და ფეხსაცმელების სამკერვალო, ავრეთვე მოწყობილია სასადილოები, როგორც სამართველოსთან ისე ყველა კომისარიატებთან.

ოზურგეთი.

9 ივნისს 1921 წ. ქ. ოზურგეთში შესდგა კრება ოზურგეთის რაიონულ კომიტეტისა. დაესწრენ: პასუხისმგებელი მდივანი ელ. კალანდაძე, კოლია მახარაძე, ისაკი დოლიძე, შერ. დომბორეჯანიძე და ირ. მიმინოშვილი.

დღის წესრიგი იყო შემდეგი:

1. პრეზიდიუმის არჩევა,
2. პროპაგანდისტ-აგიტატორის არჩევა.
3. ინსტრუქტორ-ორგანიზატორის მოწვევა.

1. პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხ. კოლია მახარაძე და შერმანდი დომბორეჯანიძე, მესამედ შედის ამხ. ელ. კალანდაძე.

2. პროპაგანდისტ-აგიტატორათ ერთხმათ იქნა არჩეული კ. მახარაძე.

3. [illegible] ინსტრუქტორ-ორგანიზატორათ ამხ. კირილე ჩხარტიშვილი, და ამის შესახებ ეცნობოს გურიის კომიტეტს, რათა ამხ. კირილე ჩხარტიშვილი იქნას გამოწვეული სასურსათო კომიტეტიან გურიის კომიტეტის მიერ, გადმოსაცემათ რაიონკომის განკარგულებაში.

25 ივნისს მოწვეულ იქნა ოზურგეთის ყოფილი კომიტეტის შეერთებული კრება. კრებას დაესწრო ყველა წევრები.

დღის წესრიგში შედიოდა შემდეგი კითხვები:

1. მოხსენება საქარ. კომ. პარ. სამაზრო და სარაიონო კომიტეტების პასუხისმგებელ მდივნების თათბირის შესახებ.
2. მოხსენება ადგილებიდან.
3. ორგანიზაციული მუშაობა,
4. პარკის შესახებ.
5. კომპარტიის წევრების შეიარაღება.
6. დელეგატების არჩევა გურიის სამაზრო კონფერენციაზე.

1. მოხსენებიდან გამოირკვა შემდეგი: როგორც სრულიად საქართველოში, ისე გურიაშიც პარტიული მუშაობა შეფერხებულია, ამის უმთავრესი მიზეზი კი არის ის, რომ ჩვენი საუკეთესო ამხანაგები თავმოყრილი არიან საბჭოთა დაწესებულებებში და პარტიას კი ყურადღებას არ აქცევენ იმ დროს, როდესაც პარტია არის ყველაფერი. ამიტომ აუცილებელია პარტიაში გადმოვიყვანოთ საუკეთესო ძალები, მოვამზადოთ პარტიული ორგანიზაციები და როდესაც პარტია მომაგრდება, ცხადია მაშინ მთავრობაც ძლიერია. რაც შეეხება მომავალ გეგმას მუშაობისას, რაიკომი სავსებით იწერნებს და გამოიქვამს სურვილს ეს ხაზი იქნას გატარებული სისწრაფით, რომელიც საშუალებას მოგვცემს პარტიის მასასთან დაახლოებებას და მასის სრულიად გამოფიზლებას.

2. ადგილებიდან მოხსენებიდან გამოირკვა, რომ თუმცა პარტიულ მუშაობას ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები აქვს, მაგრამ საერთოდ პარტიული მუშაობა დამაკმაყოფილებელია. სწარმოებს კანდიდატების მიღება, იმართება კრებები სისტემატიურად და არა სისტემატიურად.

3. ყოველგვარი ზომები უნდა ვიხმაროთ იაჩეიკების მოსაწყობათ. სოფლში, სადაც კი არის სამი პარტიის წევრი—უნდა დაარსდეს იაჩეიკა, იაჩეიკის კრება უნდა იმართებოდეს სისტემატიურად, სადაც უნდა სწარმოებდეს სისტემატიური მეცადინეობა. თვითეულ იაჩეიკებში უნდა დაინიშნოს პასუხისმგებელი მდივანი, რომელსაც მეორე კავშირი ექნება რაიონულ კომიტეტთან. ყველა ინსტრუქციების ცხოვრებაში გატარება ევალებათ იაჩეიკების პასუხისმგებელ მდივნებს.

4. პარკის შესახებ კრება ერთხმათ ადგენს; ვინაიდან პარკი—ეს ერთადერთი ვალუტაა მთავრობისთვის და ვინაიდან ხალხი დაფრთხალია დაპირებულ საგნებს არ მოგვცენენ და განიხარახეს სახლში ამოხვევა, რომელიც სახელმწიფოს დიდ ზიანს მოუტანს, ამიტომ კომიტეტი ავალებს თვითეულ პარტიის წევრს და კანდიდატებს, რათა გასწიონ ხალხში პროპაგანდა აგიტაცია, გაარკვიონ ხალხი, რომ ყოველგვარი დაბრერება იქნება შესრულებული სისწრაფით და დამზადებული პარკი მიაწოდონ კოოპერატივების კავშირებს.

5. სასროფ ზომები იქნას მიღებული პარტიის წევრების და კანდიდატების შესაიარაღებლათ. უნდა მოეწყოს სოფლად რაზმები, რომლებიც დაეკვემდებარებიან სამაზრო შტაბს.

VI ბუნოის კონფერენციაზე დელეგატების არჩევის ჩასატარებლათ გაიგზავნოს ოფლათ კომიტეტის წევრები, რომლებიც გაუწევენ ხელმძღვანელობას არჩევნებს. 30 კაცი ირჩევს ერთ დელეგატს.

28 ივნისს, შესდგა ოზურგეთის რაიონული კომიტეტის პრეზიდიუმის კრება. დღის წესრიგში იყო მხოლოდ ერთი კითხვა: 1. ქ. ოზურგეთის იაჩეიკებში მომაცადინებელთა დანიშვნა. პირველ იაჩეიკაში დანიშნულ იქნა ამხ. მარო ლომინაძე.

მეორე იაჩეიკაში (მილიციონერების) ამხ. ნოე ქურიძე მეოთხე იაჩეიკაში (პოლიტბიუროში) ამხ. ვალ. თავართქილაძე. მესამე იაჩეიკაში უკვე არჩეული იყვნენ. პრეზიდიუმი ადგენს ეხლავე ეცნობოს ეს დადგენილება, როგორც დანიშნულ ამხანაგებს, ისე იაჩეიკების პასუხისმგებელ მდივნებს.

ყარაჩოელი.

ჩ ხ ა ო ი.

ხუთშაბათს, 23 ივნისს შესდგა ჩხარის ორგანიზაციის წევრთა და კანდიდატთა კრება, დღის წესრიგშია შემდეგი კითხვები: მოხსენება პასუხის მგებელ მდივნის, რომელიც დაბრუნდა კონფერენციიდან, და შაბათობის მოწყობა. მოისმინა რა კრებამ მოხსენება პასუხის მგებელ მდივნისა კონფერენციის შესახებ, კრება დიდათ კმაყოფილი დარჩა; და იღებს რა მხედველობაში, რომ კომუნისტური ტაკტიკა არის ნამდვილი სწორი გზა მუშათა ინტერესების დასაცავად და კრება გულ მხურვალედ ეესალმება საქართველოს კომუნისტურ პარტიის ბელადებს და უსურვებს ხანგრძლივობას და ენერგიულ მუშაობას.—ვინაიდან სხვა და სხვა დაბრკოლებების გამო, ამ ხნის განმავლობაში ვერ იქნა [illegible] მუშაობა მოწყობილი, კრების მიერ დაეკვეთა პლენუმს, შაბათობა ახლო მომავალში [illegible]

[illegible]

ქრონიკა

◆ **პური** [illegible] რესპუბლიკისთვის [illegible] ულ [illegible] ბ ერ [illegible] ბ ა [illegible] ბ [illegible] ბ [illegible] ბ